გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „ივერია“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** შარშან ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ მეორე გიმნაზიის მთავრობამ განიზრახა საკუთარის შენობის აგება, რადგან ეხლანდელი სადგური, ალელოვის სახლები, ვერ აკმაყოფილებს ვერც საპედაგოგიო და ვერც საჰიგიენო მოთხოვნილებასაო. გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭომ აირჩია კომიტეტი ფულის მოსაგროვებლად. ტფილილები სიამოვნებით მიეგებნენ გიმნაზიის მთავრობის განზრახვას და უხვად შესწირეს ფული. მოკლე ხანში იმოდენა თანხა შეგროვდა, რომ კომიტეტმა შეიძინა მშვენიერი ალაგი ვერის ხიდს ახლო. ამას შემდეგ შეადგინეს გეგმა შენობისა და ხარჯთ-აღრიცხვა და წარუდგინეს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს, რომელმაც განსახილველად გადასცა საგუბერნიო სამმართველოს შენობათა განყოფილებას. კარგი იქნება, მალე განიხილონ გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რადგან შემდეგ უნდა გაიგზავნოს პეტერბურგს უმაღლესის მთავრობის მიერ დასამტკიცებლად. ამასაც, რასაკვირველია, კაი დრო მოუნდება და შეიძლება ისე დაგვიანდეს, რომ წრეულსვე ველარ შეუდგნენ შენობის დაწყებას და გიმნაზია იძულებული შეიქმნას ერთი წელიწადი კიდევ დაჰყოს შეუფერებელსა და უხერხულს სახლში.

*** გუშინ-წინ, 4 მარტს, მიხეილის ბაღში წარმოდგენა ჰქონდა შესანიშნავს ჰიპნოტიზორსა და შთამგონებელს ვ. ფ. ლერხს. ლერხს ამ სალამოს მანტევიზმის, ესე იგი სხვათა სურვილისა და ფიქრის შეტყობის სეანსი ჰქონდა. მისმა ნიჭმა სხვისის აზრის გამოცნობისამ სწორედ რომ აღტაცებასა და გაოცებაში მოიყვანა საზოგადოება. ჯერ ლერხმა რამდენიმე ინდუქტორი ამოირჩია საზოგადოებაში, ესე იგი ისინი, რომელთა შემწეობითა და შუამავლობითაც უნდა შეეტყო ფარული სურვილი საზოგადოებისა, შემდეგ იქ დამსწრე საზოგადოებამ შეადგინა პროგრამა იმისი, რაც უნდა გამოეცნობინებინათ ლერხისათვის. სულ თერთმეტი რამ შეუკვეთა საზოგადოებამ ლერხს და სხვათა შორის: მიდი ამა-და-ამ კაცთან, ამოაცალე მანათიანი № 660041, ბუფეტში გადი, ერთი ჭიქა არაყი იყიდე და არაყიცა და ხურდაც მეორე კაცს მიუტანეო; იპოვნე ქინძისთავი (ხალიჩაში იყო დამაგრებული) და ამა-და-ამ ადგილას გაამაგრე; დასწერე ქართულად სიტყვა „ბაყაყი“ (ლერხმა ქართული სულ არ იცის); აბა-და-ამ ქალს წამოსასხამი მოჰხადე და იმასთან მოშორებით მჯდომს ამა-და-ამ მოხუცს კაცს წამოსხი; გერმანულად დასწერე ქაღალდზედ სიტყვა „ჰავჰავაძე“ და სხ. ლერხმა ყოველივე ეს და ბევრიც სხვა შესანიშნავის სისწრაფითა და საკვირველის სისწორით გამოიცნო, ასე რომ მცირეოდნადაც-კი არაფერი შესცდენია. ბევრმა საცდელად ხელი დაუჭირა და, სხვათა შეუტყობინებლად, რა არის არ გადასცენო, ჰკითხა, რასა ვფიქრობო, და ლერხმა იმ წამსვე უპასუხა, ამასა-და-ამასაო. დასასრულ ბ-ნმა ლერხმა უცნაური კონცერტი გაჰმართა, გამწკრივებულს, წყლით სხვა-და-სხვა გვარად სავსე ჭიქებს სველს ხელს უსვამდა ზემოდგან და ხმა-მწყობრად სხვა-და-სხვა ჰანგს უკრავდა. ბ-ნ ლერხის წარმოდგენა დიდად საინტერესო და საყურადღებოა მეცნიერების მხრივ. დღეს, პარასკევს, ლერხი კრუჟოკში ჰმართავს თავისს წარმოდგენას და ხვალ, შაბათს,—გერმანელების კლუბში.

*** გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს არის დანიშნული მუსიკალურ-დრამატიული სალამო მუსიკალურ კრუჟოკის სათეატრო დარბაზში. მონაწილეობის მიიღებენ, რატილის ხოროს გარდა, ქართულის დრამატიულის დასის არტისტები: ქ-ნნი საფაროვისაძ ჩერქეზიშვილისა, ბ-ნნი ცხომელიძე, კანდელაკი და გედევანოვი. ეს წარმოდგენა პირველი წარმოდგენაა ამ დიდ-მარხვაში.

*** ტფილისის ღამის თავ-შესაფარიდგან თითქმის ყოველ დღე იგზავნებიან კავკასიის ყოველ მხარეს დამშეულნი სამუშაოდ და დასასახლებლად, მაგრამ მაინც კიდევ ბევრნი არიან. ამ დღეებში ტფილისის მეაბანოეებმა სამასს დამშეულ გუბერნიების მცხოვრებელს მუქთად დაუთმეს თავიანთი აბანოები. როგორც შევიტყეთ, ტფილისის პოლიცმეისტერს განზრახვა აქვს პირველ აპრილისათვის დაჰკეტოს დროებით დამშეულთა გუბერნიების მცხოვრებთათვის დაარსებული ღამის თავშესაფარი იმ დრომდე, ვიდრე სამუდამო თავშესაფარს დააარსებდნენ.

*** ბ-ნ ცახელის მიერ მეორე გამოცემად, 1,200 ეგზემპლიარად დაბეჭდილი მისი საყმაწვილო წიგნი— „შალვას თავ-გადასავალი“ „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ შეისყიდა ათ თუმნად და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. წინად „შალვას თავ-გადასავალი“ ჰღირდა ერთი აბაზი, ეხლა სამი შაური ეღირება.

*** ამ ჟამად ავლაბარში ქალაქის გამგეობამ ორს წყაროსთან, „პირშავა“ და „ელიზბარის წყარო“-სთან, ხეხილები ჩაარგვევინა, რადგანაც ეს წყაროები ყოველ წელს თანდათან შრება სიცხისაგან.

*** 1891 წლის განმავლობაში ბათუმიდგან გატანილ იქმნა საზღვარ გარედ 6,000 ტონი შავი ქვა, 9,579 ტონი ძირტკბილა, 200,421 ტონი ნავთი და 10,000 ტონი პური. უცხოელთა გაზეთები ამბობენ, რომ მომავალში ბათუმს დიდი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო ალებ-მიცემობის საქმეშიო.

*** თელავი: ამ მოკლე ხანს თელავის მომრიგებელს სასამართლოში იქმნება გარჩეული საქმე ყვარელის ორ კლასიან სასწავლებლის უფროსის მასწავლებლის ბ-ნ მათიკაშვილისა, რომელსაც ედება ბრალად შეურაცხება და, ასე გასინჯეთ, ხანჯლით მოსაკლავად მიწევა იმავე სასწავლებლის საღმრთო წერილის მასწავლებელ მღვდელზე, მამა მიხეილ ვარდიევზე. საქმე აი როგორა ყოფილა: წარსულის წლის დეკემბერში, როცა მთავრობისაგან დანიშნულს მამასახლისს ბ-ნ ნარეკლიევს შეუყრია ყვარელის საზოგადოება ამავე სკოლის საქმეების შესახებ, ამ ყრილობის თვალ-წინ ბ-ნს მათიკაშვილს—არ ვიცით-კი, რა მიზეზით—სიტყვით შეურაცხება მიუყენებია ხსენებულის მღვდლისათვის და ხანჯლითაც თურმე იწია მის მოსაკლავად. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ, თუ ბ-ნს ნარეკლიევს არ დაეჭირა გაჯინიანებული მასწავლებელი და მღვდლის სახლ-კარისათვის დარაჯები არ მიეჩინა, ვინ იცის რას ჩაიდენდა იმ ღამეს მასწავლებელი. როგორ მოგწონთ ეს ზნეობის და ყოველის კეთილის მასწავლებელი და წარმომადგენელი!? სხვა-და-სხვისა რა გვეთქმის, მაგრამ ამ მასწავლებელს-კი რა თვალით უნდა შეჰხედოს ყვარელის მკვიდრმა, რომლის ნორჩის შვილის აღმზრდელიც ეს ჰირვეული ბატონი ბრძანდება!.. ვერაფერი ამბავია საზოგადოდ, რომ სოფელში ორი კაცი იყოს ქვეყნის დამრიგებელი და ჭკუისა და სიკეთის

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

თითქოს შელოცვილები ვიყვნეთ.—როდის ჩავარდება ზრდაში საქვეყნო საქმე?—ქართულ წიგნების მბეჭდავი ამხანაგობა.

ჩვენს ცხოვრებაში ერთი ფრიად შესანიშნავი ამბავი ხდება და ყველა ჩვენგანი განცვიფრებაში მოჰყავს. ეს ამბავი გახლავთ შემდეგი: ყოველი ჩვენ მიერ დაწყებული საზოგადო საქმე, თითქოს რაღაც წყევლა დაჰყოლია იმავ თავიდგანვეო, უნდა აღმოჩნდეს რაღაც უმარილო, ულაზათო, უსიცოცხლო და ბოლოს ან ერთიან და სამუდამოდ ჩაქრეს, ან აჩანჩალოს შეუშურვებელნი დღენი თვისნი ისე, რომ არც მტერს არგოს რამ და თითქმის არც მოყვარეს. მაგალითებრ, ვინ არ იტყვის, რომ ჟურნალ-გაზეთები საზოგადო საქმეა; რომ იგინი აღნიშნავენ ქვეყნის საჭირ-ბოროტო ავ-კარგიანობას, რომლის გამოკვლევასა და განჩხრეკას ჰკისრულობენ მცოდნე და თვალ-ახელილი მოღვაწენი; რომ ამ მოღვაწეთა აზრი დატრიალდება ხალხში და უკანასკნელიც შესაფერად გამოიყენებს მცოდნეთა მოძღვრებას, გაივლის მათ მიერ ნაჩვენებს გზაზედ. ეს ხომ ყველამ იცის და ამიტომ კიდეც ესმის დიდი საქვეყნო მნიშვნელობა ჟურნალ-გაზეთებისა. ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში ქართულს ენაზედ დაწყობილა: „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „მნათობი“, „კრებული“, ჟურნალი „ივერია“, „იმედი“, „შრომა“, „ნობათი“, „თეატრი“ და კიდევ სხვანი. მერე სად არიან დღეს ან პირველი, ან მეორე და ან სხვები! იცოცხლეს რამდენისამე წლის განმავლობაში, ვაი-ვაგლახით აგანგალეს დღენი თვისნი და დღეს, ნაცვლად წარმატებისა, ჩვენ გვაბადია ერთი ყოველ-დღიური გაზეთი „ივერია“, ერთი „მეურნე“, ერთი საყმაწვილო „ჯეჯილი“ და ერთიც „მწყემსი“. ეს არის ჩვენი ავლა-დიდება. მერე ხომ თქვენ თითონაც კარგად მოგეხსენებათ ღირსება მთელის ამ ავლა-დიდებისა. რად მოჰხდა ასე? კაცები არა გვყავდნენ და იმიტომ, თუ სხვა რამ მიზეზია აქა? თუ-კი საქმის დასაწყისში იყვნენ კაცები, მერე ხომ უფრო უნდა მოჰმატებოდნენ. არა, ბატონებო, აქ უკაცურობის ბრალი არ გახლავსთ.

აიღეთ ახლა სხვა საზოგადო საქმეები, აი თუნდა საქმე წერა-კითხვის გავრცელებისა ჩვენში. ვინ იტყვის, რომ ეს დიდი საქმე არ იყოს. ვის დაასახელებთ იმისთანა რეგვენსა და უმეცარს, რომელსაც არ ესმოდეს, რომ წერა-კითხვის მცოდნეს ხელთ უპყრავს ერთი უკეთესი იარაღთაგანი თავის გასატანად ცხოვრების დაუდგრომელს ტრიალში! მაშ რა მიზეზია, რომ ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება ვერ იჩენს ნიშან-წყალს ჯეროვანის მოღვაწეობისას? ის ხომ არა, რომ ამ დაწესებულებამ შეასრულა ნაკისრი საქმე, მოჰფინა მთელს საქართველოს სხივი განათლებისა და ეხლა მხოლოდ სიტკბოებით შეჰყურებს ნაყოფს თავის ღვაწლისას! ან იქნება აქაც კაცები არა გვყავდეს! მერე, განა ჩვენს ხელთ არ არის უკეთესი კაცები ამოვარჩიოთ! მაშ რატომ ვერა ვხედავთ ნაყოფს? რა მიზეზია, რომ მოღვაწეობა ამ საზოგადოებისა შეჩერებულია ერთს წერტილზე აგერ ეს უკანასკნელი ათი წელიწადია და აბა თუ ფეხი მოიცვალოს, აბა თუ ერთი კუს ნაბიჯი მაინც გადასდგას წინ.

ერთის სიტყვით, ყოველ საზოგადო საქმეში ჩვენ ამისთანა ამბავსა ვხედავთ, ყველგან უნაყოფობას, თითქოს შელოცვილები ვიყვნეთო.

**

მაგრამ არა, ჩემო ბატონო, აქ შელოცვის საქმე არ გახლავთ. შელოცვა-კი არა, ჩვენი გამოუცდელობა და გაუგებრობაა მიზეზი. იმ დღესაცა ვსთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენ ვერ შეგვიგნია სიგრძე-სიგანე საზოგადოდ საქვეყნო საქმისა, არ ვიცით, რა ხილია ეს საქმე, რა მხრიდგან უნდა მოვუაროთ. არც-კი გასაკვირველია ეს ჩვენი უვიცობა, რადგან საკუთარის საქმისაც ხშირად არც თავი გაგვეგება და არც ბოლო. მოდი ამისთანა ვითარებაში და შეიგნე ყოველი წვლილი საქვეყნო საქმისა. საქვეყნო საქმე უნდა იკისროს, არა ერთმა და ორმა, არამედ ქვეყნის რამდენმამე ნაწილმა ან მთელმა ქვეყანამ, სიტყვით, მოქმედებითა და თანაგრძნობით. უამისოდ ძნელია, რომ საქვეყნო საქმე ჩავარდეს ზრდაში.

აი მივიხედ-მოვიხედოთ აქეთ-იქითკენ, გავსინჯოთ, სხვებს როგორ მიჰყავთ საზოგადო საქმეები. ღვთის მადლით, სოფელი განიერია, ყოველ გვარს მაგალითსა ჰნახავს კაცი, თუ-კი არ დაიზარა და თვალებს აასრულებინა ის დანიშნულება, რისთვისაც მოუცია ჩვენთვის ღმერთსა. დაწინაურებულს ქვეყნებში დიდი ხანია დარწმუნდნენ, რომ ერთი კაცი სამოთხეშიაც ბრალია, და რადგან ამ წუთი-სოფელს სამოთხისა ბევრი არა აცხია-რა, ამი-

მასწავლებელი და ორივენი ასე ჩხუბობდნენ ერთმანეთში!

*** სოფელ'ს საქარაში დაარსებულ განყოფილებას ამერიკის ვაზის გასაშენებელ სადგურისას კიდევ მიუზომავენ, თანხმად პეტერბურგიდგან მოსულის ბრძანებისა, მიწებს ვიდრე ორ დესეტინამდე. ეგრედ წოდებული ბურგნალის მიწები, რომელიც ამ ჟამად გლეხების მფლობელობაშია, მიემატება სადგურის განყოფილების მიწებს და გლეხები-კი იმის მაგიერ სხვაგან მიიღებენ სახნავს მამულებს.

*** გაზეთ „Кавказъ“-ს დეპეშით სწერენ პეტერბურგიდგან, რომ უმაღლესად ებოძათ პოლკოვნიკობა ავარიის ოლქის უფროსს თავადს ვახვახიშვილსა და კავკასიის ჯარში მყოფ ჯომარჯიძეს.

*** „არძაგანქის“ 4 მარტის ნომერში ამ გაზეთის რედაქტორი ა. ა. იონესიანი საჯაროდ აცხადებს თავისს კანდიდატობას ტფილისის ეპარქიის წარმომადგენელისას კათალიკოსის ამოსარჩევად.

*** გაზეთს „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია შემდეგი: „ჩვენ მივიღეთ ნამდვილი ცნობანი, რომ ახალციხის მაზრიდგან ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება იმით არ აიხსნება, ვითომ ადგილ-მამული გამოაცალეს ხელიდგან, როგორც ამას შეცდომით სწერს გაზეთს „Кавказъ“-ში (№ 60) ვიღაც პ. ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ ახალციხის მაზრიდგან მდიდარი მემამულეები მიდიან ოსმალეთში და თავისს ადგილ-მამულებს ჰყიდიან“.

*** რადგანაც ამ მოკლე ხანში ამიერ-კავკასიაშიაც იქნება შემოღებული საზოგადო კანონი, ყოველ გვარ საშუალების მისაღებად სხვილფეხ საქონლის ჭირის მოსასპობად, ამიტომ ამიერ-კავკასიის ყოველს მაზრაში თითო ბეითალი და თითო ფერშალი იქნება დანიშნული. ხარჯი ამათის ჯამაგირებისა ერობამ უნდა იკისროს. მაზრის ბეითალს წელიწადში 1,280 მანათი ჯამაგირი დაენიშნება და ფერშალს 375 მანათი. სულ ამიერ-კავკასიაში დანიშნული იქნება 54 ბეითალი და რამდენიმე ფერშალი. ამათს ჯამაგირს დასჭირდება წელიწადში 89,370 მანათი. („Нов. Обоз“).

## დაბა ჩ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოხუმი.** ეს ორი თვეა თითქმის, რაც სულ სწვიმს. მოგახსენებენ, რომ აგერ ოცი წელიწადი მეტია, ამ გვარი ზამთარი აქ არ ყოფილაო. ევკალიპტუსები სულ დახმა, დახმა აგრეთვე მრავალი სხვა ძვირფასი მცენარე.

როგორც ეტყობა, მალე დაიწყებენ სოხუმსა და ნოვოროსიისკს შორის გზა-ტკეცილის კეთებას. ამას წინად სამხედრო შკუნით, ცოტას ხნით, შემოიარა აქ გენერალმა ზეზემანმა, რომელიც თავისის აფიცრებით ნოვოროსიისკენ მიდიოდა. მოგახსენებენ, ასი ათას მუშამდე არის ნოვოროსიისკშიო. ეჰ, მადლობა ღმერთს, ერთს კუთხეს სუხუმის ოლქისას მაინც ექნება რიგიანი მისავალ-მოსავალი გზა ჩ სხვას თუ არა, გუდაუთელებს მაინც ეშველებათ რამ და შეეძლებათ ჩვენ, სოხუმელებს, გაგვინაწილონ თავისს სარჩო-სანოვაგისა რამ. ეგების, ცოტაოდენი იაფობა ჩამოვარდეს სოხუმში. აქაური ვაჭრები ტყავს გვაძრობენ, ტყავს!

იქნება ღმერთმა შეგვიბრალოს და აქედგან ზუგდიდამდისაც გაგვიკეთონ გზა. ამ ჟამად უგზოობის გამო სამი საუკეთესო, დასახლებული, მოსავლიანი, მდიდარი კუთხე ამ ოლქისა: გუმისტა, კოდორი და სამურზაყანო მოწყვეტილია ქვეყანას. რის გაყიდვაც-კი მამულის პატრონს შეუძლიან, ადგილობრივ რჩება გამოუსადეგლად, ლპება, იხრდება, ხავსი ეკიდება...

ამ მოკლე ხანში დაიდგმის მშვენიერი და ძვირფასი რკინის ხიდი მდინარე კოდორზედ, მაგრამ გზა-კი არ არის ჯერ და არ ვიცით, რა სარგებლობას მოიტანს აქაურობისათვის: არც მისავალი, არც მოსავალი გზა არა აქვს რიგიანი. მართალია, აქედგან დრანდამდის არის გზა საეტლო-საურმე, მაგრამ არც იქიდგან ხიდამდე, არც ხიდიდგან იქით აღარ არის საურმე, ხეირიანი გზა: ხიდს იქით იწყება უგზო-უკვლობა, ჭაობები, ტყე-ღრე. ამ ორმოცის წლის წინადკი სოხუმიდგან ზუგდიდამდის მშვენიერი საფოსტო გზა გხლებიათ: 1852 წ. ბრწყინვალე თავადი ვორონცოვი თავისის მეუღლით და ვიცე-ადმირალი სერებრიაკოვი ჰქონდა თურმე ფაეტონით წაბრძანდნენ ზუგდიდს. ფოსტა ჰქონია იჯარით აღებული ხუბალოვს... დღეს არამც თუ ფაეტონის გზა, ჩვენებური ურემიც-კი, რომელიც აქ გაივლის, სადაც ვერც ერთი ევროპიული ეტლი ვერ გაჰბედავს გავლას, გაჭირვებაშია უგზოობით... ნეტავი ძნელი მაინც იყოს მისი გაყვანა! სულ ვაკეა, ზღვის პირს ახლო, გარეშემო ტყე, და მაშასადამე, ყოველ გვარი გზის საჭირო მასალა, რასაკვირველია, რკინეულს გარდა, სულ იქვეა: ქვიშა, ხე-ტყე, რიყის ქვა— უხვად, იხრად არის. მუშის შოვნაც ადვილია: სოხუმი გატენილია სხვადა-სხვა უსაქმო, მთხოვარა, დამშეულ ხალხით. თუ ამათი დაქირავება არ მოხერხდება, ძვირად დაჯდება, მუქთის მუშის შოვნა უფრო ადვილია: თვით ხალხი სოფლიდგან სოფლამდე გაიყვანს გზას, ოღონდ-კი რკინის მასალა მთავრობამ უბოძოს და რიგიანი, მცოდნე ზედამხედველი დაუნიშნოს.

ამ გზის გაყვანის გამო დეპუტაცია გახლდათ წასული ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორთან. მოგახსენებენ, მის აღმატებულებას ებრძანებინოს, რომ დამშეულ ხალხის მოწვევა ამ გზის გასაკეთებლად საჭირო არ არისო; მე თვით ვზრუნავ, თქვენ თქვენს საქმეზედ იზრუნეთო და სხ. ნეტავიკი გზა გაგვიკეთონ და ჩვენთვის სულ ერთია—მუსიას ამუშავებენ, თუ ალიას! სამწუხარო და საყურადღებო ის არის, რომ ეს მდიდარი კუთხე უგზო-უკვლოდ არის, რის გამოც ყოვლად შეუძლებელს, უღმერთო ფასს იღებენ აქ ყოველ გვარს ხორაგში. ხორაგის ფასის რაოდენობის კვლავ მოგწერთ.

ერთი სიძვირის მიზეზთაგანი გახლავთ უხალხობა: მომეტებული ნაწილი აფხაზებისა სათათრეთში გადასახლდა; რომელნიც აქ დარჩნენ, ვერაფერი მიწის მომვლელნი არიან: მამულის შემუშავება, გაუკეთესება თითქმის სირცხვილად მიაჩნიათ. მაგრამ უმთავრესი მიზეზი უგზო-უკვლობაა. ამ ჟამად თუ სოხუმში შემოდის რამ, მეგრელებისა და ესტონელების წყალობით. მოგახსენებენ, ნამდვილად-კი არ ვიცი, ესტონელები აბარგებას აპირობენო: ჰავისთვის ვერ გაუძლიათო. მაშინ აგვიშენდება ოჯახი!

აქ გამოდგებიან უფრო მეგრელები: ჰავასაც აიტანენ და კარგადაც შეიმუშავებენ მამულს. საკვირველი მოხერხებული და გამრჯე ხალხია! დარწმუნებული ვარ, მეგრელებს რომ ნება მისცენ დასახლებისა, სოხუმს გარეშემო ერთი ჭაობი აღარ დარჩებოდა მოკლე ხანში დაუშრობელი. ეს დაბურული, სხვა-და-სხვა მიაზმებით სავსე ტყე კარგად შეთხელებული შეიქნებოდა, ბლენცარას (папоротникъ), ამ ციების ბუდისა, ხსენება აღარ იქნებოდა, ჩ რაკი ეს მოხდებოდა, სოხუმში ციებ ცხელება გაქრებოდა და ამაზედ უკეთესი საცხოვრებელი ადგილი აღარ იქმნებოდა. მაგრამ მაგარი ეს არის, რომ მეგრელებს, მოგახსენებენ, აქ დასახლების ნებას არ აძლევენო. რა მიზეზით, არ ვიცი. ჩემის მოკლე ჭკუით-კი ასე ვიცი, რომ მეგრელები უფრო საიმედო და სასარგებლო გახლავან და იქნებიან, ვიდრე ბოლგარელები-ბრატუშკები და გერმანელები. გერმანელები, რაკი ამოსწოვენ, რაც-კი ამოსაწოვია, დაანებებენ აქაურობას თავს და მონახავენ ახალს, უკეთესს ადგილს. მეგრელი-კი, ერთხელ აქ დასახლებული, ფეხს არ მოიცვლის, თავისს ძვალ-ტყავს აქ ჩაჰყრის თავისის ოფლით შემუშავებულს მამულში. ღმერთმა ნუ-კი ჰქნას და, აბა ერთი თოფი გავარდეს, შეიძლება პირველადვე გერმანელები გადაგვიდგნენ და დაგვიშინონ ტყვია. მაგრამ სჯობს „კლიტე დავადო ბაგესა ჩემსა“. ვიწყვეტ ხმას და ვსვამ წერტილს: ვინ კელასურელი-ჲპა ჩ ვინ ამ გვარ საგნის შესახებ სჯა!

კელასურელი-ჲპა

## სამუსიკო ორკესტრი „გურიის ამხანაგობისა“ რუსეთში.

(წერილი კიევიდგან)

სამუსიკო ორკესტრი „გურიის ამხანაგობისა“, დაარსებული ამ სამის წლის წინად და შემდგარი გურიის მილიციაში ნამსახურ ქართველთაგან, წარსულის წლის 7 ენკენისთვეს ზოგიერთების რჩევით გამოემგზავრა ტფილისიდგან რუსეთში სამუსიკო კონცერტების გასამართავად. „ამხანაგობამ“ თავის ლოტბარად ამოირჩია ბ-ნი ლუარსაბ კეშელავა, რომლის ხელმძღვანელობას ექვემდებარებიან: ანტონ კეშელავა, ძმანი მიხეილ და ივლიანე კვეჰანტირაძეები, ძმანი პეტრე და ივანე ნაჭყებიები, ივანე თოთიბაძე, იაგორ ბერძენიშვილი, დარისპან მამეშვილი, სარიდან ბერძენიშვილი, ამბაკო რამიძე, ლავრენტი ჯახვა, იოსებ ზუმბაძე, ერასტი ნაჭყებია, ანტონ ტორჩინავა და სოლომონ მარტირუზაშვილი...

„სამუსიკო ორკესტრმა“ გურიის ამხანაგობისამ გამართა კონცერტები შემდეგს ადგილებში: ნოვოროსსისკში—ორი კონცერტი, ეკატერინოდარში—სამი, კრიმსკში—ერთი, როსტოვში—ორი, ტაგანროგში—ორი, ეისკში—ორი, მარიუპოლში—ორი, ბერდიანსკში—ორი, ქერჩში—ორი, თეოდოსიაში — ერთი, იალტაში— ორი, სევასტოპოლში—სამი, ოდესაში—სამი და კიშინიოვში—სამი... კიშინიოვიდგან ორკესტრი რუმინიის სახელმწიფოშიაც გადავიდა... ორკესტრმა გაჰმართა ოთხი კონცერტი რუმინიის ქალაქს იასსაში, იმ იასსაში, სადაც დასაფლავებულია ჩვენი პოეტი ბესიკი გაბაშვილი, რომელიც სწორედ ამ ასის წლის წინად მიიცვალა ხსენებულს ქალაქში...

რაოდენიმე ნაწილი კონცერტების ფულისა ორკესტრის „ამხანაგობამ“ შესწირა რუსეთის შუაგულ გუბერნიებში დამშეულ მკვიდრთა სასარგებლოდ.

ყველგან დიდის სიხარულითა და თანაგრძნობით ეგებებოდა საზოგადოება ხსენებულ ორკესტრის კონცერტს, რომელსაც ზედ ერთვოდა ლეკურის ცეკვაც, სიმღერის თქმაცა და სხვ... განსაკუთრებით ორკესტრმა აღტაცებაში მოიყვანა რუმინიელები. საზოგადოდ ყველგან გამოუთქმელის სიამოვნებით მოისმინეს ქართული და საზოგადოდ კავკასიური ეროვნული ხმები, რომელიც ისეთისავე საფუძვლიანობითა და შეგნებით შეუთვისებია „ამხანაგობას“, როგორც ევროპიული საუკეთესო ხმები... ოდესის გაზეთის „Одесскій

---

ტომ აქ განმარტოვებით უღლის ზიდვა ვერ გააცილებს ადამიანს ცხოვრების ჯოჯოხეთს იქით. მიზეზიც ეს არის, რომ დაწინაურებულ ქვეყნებში კერძო საქმეებიც-კი შეერთებულის ძალით მიჰყავთ, და რაიცა შეეხება საზოგადო საქმეს, ამას ხომ განმარტოკავებული ადამიანი თავის დღეში არ იკისრებს. იქ რა წამსაც-კი დაიბადება რომელიმე ბედნიერი აზრი საქვეყნო საქმის წარმატებისა, მაშინვე შეუდგებიან ძებნას ამ აზრის მომხრეებისას. მომხრეთა შეერთებულის ძალით აზრი მიიღებს იმისთანა სახეს, რომლითაც შესაძლებელი შეიქმნება მისი განხორციელება ცხოვრებაში. შემდეგ ამოირჩევენ შესაფერს კაცებსა და მიანდობენ საქმის აღსრულებას, თანაც ყოველი მომხრე თავის წმინდა მოვალეობადა სთვლის უდარაჯოს საქმის მიმდინარეობას და შეძლებისამებრ ხელმძღვანელობაც გაუწიოს. ამასობაში თვით აზრიც უფრო და უფრო ნათლდება, ძლიერდება და მომხრეებსაც უფრო ბლომადა ჰშოულობს.

ჩვენში-კი, პირ-იქით, დასაწყისში ბევრნი ავპილპილდებით ხოლმე და, რაკი რომელსამე ჩვენთაგანს მოვახვევთ კისერზე ახალის საქმის აღსრულებას, მაშინვე გავგრილდებით, მოვეშვებით სულითაცა და ხორცითაც, ვეძლევით შესვენებას და არა თუ არავითარს დახმარებას აღარ ვუჩენთ მინდობილს კაცს, არამედ ვცდილობთ ჩავუსხდეთ სადმე საფარში და, გამოიელის თუ არა ჩვენს ახლო, ვეცეთ, გამოვკრათ სარმა, დავცეთ ზინყზედ და... სიცილით მუცლები ძლივს-ღა დავგიჭერია! მერე-კი ჩვენვე გვიკვირს, რომ ასეთის ბანდიტობის ჩამდენთ რატომ საზოგადო საქმე კარგად არ მიგვდისო.

**

ამისთანაობაში ჩვენი უკეთესი კაცები-კი არა, ევროპიელი საქმის გენიოსებიც რომ დაგვისხათ, ვერაფერს ვერ გაგვიკეთებენ, ვიდრე ყველანი ერთ ნაირის სიყვარულითა და ხალისით არ მივეცემით ჩვენს საქმეს, ვიდრე ჩვენ არ ამოვუდგებით ერთი-ერთმანეთს მხარში და საზოგადო მხნეობითა და მეცადინეობით არ გავწევთ ერთს უღელს ქვეყნის სამსახურისას.

აჩქარებაში-კი არ ჩამომართოთ-და, მე მგონია, რომ დღეს ჩვენშიაც თითქო დაიძრა სურვილი საამხანაგო მოღვაწეობისა. ამასთანავე არ შეგვიძლიან არ ვაღიაროთ, რომ ასეთის სურვილის გაღვიძებაში დიდი სამსახური მიუძღვის ერთს ფრიად საინტერესო ამხანაგობას. ეს ამხანაგობა დაიბადა ტფილისში ამ ერთის წლის წინად. საგნადა აქვს ჰბეჭდოს ქართული წიგნები და ამ მცირე ხანში ისეთი სიცხოველე გამოიჩინა და ისეთი ხელგამომავალი რამ აღმოჩნდა, რომ ლამის ყველას ყურადღება მიიქციოს. შეერთდა რამდენიმე ათი კაცი, გამოიღეს თითომ ხუთ-ხუთი თუმანი სათავნო ფული, გაინაწილეს შრომა და შეუდგნენ საქმეს. მათი წრე ისე ფეხ-აკრებით იზრდება, რომ დღეს სამასი კერძი საწევრო ფულია შემოტანილი და იმედია, რომ მალე ერთი ინტელიგენტი აღარ იქმნება ჩვენში ისეთი, რომ ამ საზოგადოების ამხანაგად არ ითვლებოდეს. წარმოიდგინეთ, როდესაც ამოდენა ხალხი ერთი-ერთმანეთს მხარს მისცემს, განა იმათ დაბრკოლება-ღა ამოუჩნდებათ რამ, თვინიერ ზოგად დაბრკოლებათა! ეხლა ამ ამხანაგობის შეძლება აღემატება ათასს თუმანს. ერთის კაცისათვის ძნელია ამდენის ფულის გამოღება, ხოლო ასისა და ათასისთვის შეუმჩნეველი გახლავთ. მაგრამ აქ მარტო ფული რა სახსენებელია! რომელ ფულად დააფასებთ თქვენ იმდენის ხალხის ენერგიას, ჭკუას, გამოცდილებას, როდესაც იგინი ურთიერთის დახმარებით შეეჭიდებიან საქმეს! ცალკ-ცალკე ყველა ჩვენგანი მაგდენი არა ვართ-რა, მაგრამ შეერთებულის მხნეობით კლდეებს გადავაქცევთ.

ამ სასიხარულო ამბავს უნდა დავუმატოთ არა ნაკლებ სასიხარულო და საიმედო გარემოება, რომ ტფილისის ამხანაგობას აღმოუჩნდა უმცროსი ძმა ქუთაისში. მართლაც ეს მაგალითი ისეთი თვალ-საჩინო იყო, რომ ყოველი ჭკვათა-მყოფელი საზოგადოება უნდა ჩასჭიდებოდა ორის ხელით. ასეც მოჰხდა. ამ მოკლე ხანში სწორედ ასეთივე სასურველი ამხანაგობა შესდგა ქუთაისშიაც. იქ საწევრო ფული 25 მანეთია და დღეს წევრთა რიცხვი თითქმის ორასამდე ითვლება.

ამ სახით, ნიშნები არის, რომ ჩვენც გავიგებთ ძალას შეერთებისას, ამხანაგობისას, კავშირისას, და სამუდამოდ განვაგდებთ და დავსწყევლით ჩვენს დამღუპველს განცალკევებას. თვით ჩვენივე ისტორია გვმოწმობს, რომ როდესაც საქართველო იყო ერთ-სულ და ერთ-ხორც, მაშინ იმის შვილთა შორის ანათებდნენ დიდებული დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რუსთაველი და სხვა სასიქადულო მოღვაწენი, ხოლო როდესაც დავიქსაქსენით და განვცალკევდით, როგორც, მაგალითებრ, მე-XVIII საუკუნეში, მაშინ თვით დიდ-ბუნებოვანთა ხსოვნაც-კი თითქმის აღმოიფხვრა ჩვენ შორის, არა თუ იმათთანების აღზრდა შევძლებოდა...

სანო

Листокъ“-ის იანვრის ერთს ნომერში სამუსიკო ორკესტრი „გურიის ამხანაგობისა“ ქებით იყო მოხსენებული... მით უმეტეს მოეწონა რუსეთის საზოგადოებას და საზოგადოდ უცხოელებს ამ ორკესტრის მოსმენა, რომ მეკონცერტენი არიან ახოვანნი, გამბედავნი, მოსულნი, საერო ტანისამოსით მორთული ქართველები (გურულ-მეგრელნი), რომელთ სიცოცხლით სავსე თვალები ამტკიცებს, რომ ნიჭი არ აკლიათ და ყოველს ცოდნას ადვილად შეითვისებენ...

ამ ჟამად სამუსიკო ორკესტრი „გურიის ამხანაგობისა“ იმყოფება ქალაქს კიევში და ოც-და-ხუთს მარტამდე აპირობს დარჩენას... აქედგან იმათ იწვევს პეტერბურგს ერთი საპატიო კაცი, რომელიც კარგა ბლომად ჰპირდება ჯამაგირს. იწვევენ აგრეთვე სევასტოპოლსა და სხვა ქალაქებში...

არ შეგვიძლიან მხოლოდ არ ვისურვოთ, რომ ამ ორკესტრს გაუჩნდეს თავის საკუთარი თანხა, ურომლისოდაც მომავალში საფუძველი არ ექნება... ორკესტრის თითოეულმა წევრთაგანმა უნდა შეიტანოს თავის შემოსავლიდგან რამდენიმე მანეთი საზოგადო თანხის სასარგებლოდ... თანხა, შენახული ბანკში, იმატებს და რამდენსამე წელს შემდეგ კარგად გაიზრდება... საჭიროა, რომ ორკესტრმა გაიჩინოს შეგირდებიც და მათ შესძინოს თავისი სამუსიკო ცოდნა. ახალის შეგირდების ჯეროვანის გაწვრთნის შემდეგ საჭიროა ძველი, უკვე ოც-და-ათს წელს მიწევნილი წევრი, თუ მოისურვებს, შინ დაბრუნდეს და ოჯახობას მოეკიდოს... სამსახურიდგან გამოსულს წევრს შეიძლება ყოველ თთვიური ჯამაგირი დაენიშნოს საორკესტრო თანხის სარგებლიდგან... ამავე სარგებლის რაოდენიმე ნაწილი ყოველ წლობით უნდა მოხმარდეს სამუსიკო იარაღების შეძენას, ანუ შეკეთებას... უკეთუ ამ ორკესტრს თავისი საკუთარი თანხა არ გაუჩნდა, ვიმეორებთ, ის მხოლოდ დროებით იცოცხლებს და რამდენისამე წლის შემდეგ ბოლო მოეღება, რაიცა სამწუხარო ამბად უნდა მიიჩნიოს ჩვენმა საზოგადოებამ.

ი. ფ—ძე

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Нов. Обоз.“-ს გუშინ-წინდელს ნომერში დაბეჭდილია წერილი თ. ქიქვაძისა ზემო ქართლის სოფლების შესახებ. ბ-ნს ქიქვაძეს დაუვლია რამდენიმე დიდი და შეძლებული სოფელი ზემო ქართლისა, მაგრამ ვერსად ვერც სკოლა უნახავს გამართული და ვერც კაცი ვინმე მსურველი სკოლისა. ბ-ნს ქიქვაძეს უკითხავს კიდეც, რატომ სკოლები ან არა გაქვთ, ან არ გინდათო, და აი რა პასუხი მიუღია: შე კაი კაცო, შვილები რომ სკოლაში მივცეთ, ან შინ ვინ-ღა იმუშავოს, ან გარედ, ვინ-ღა უნდა გაუძღვეს ან ბატონსა და ან მღვდელსაო. ბ-ნს ქიქვაძეს აუხსნია კიდეც გლეხებისათვის, „სწავლული“ კაცი უფრო რიგიანად იმუშავებს და გაირჯებაო, მაგრამ გლეხებს არ დაუჯერებიათ — „სწავლულებიც ბევრი გვინახავს მუქთა მჭამელიო“. შემდეგ ბ-ნი ქიქვაძე განაგრძობს:

მაგრამ განა ნება გვაქვს გავკიცხოთ გლეხი ასეთის აზრის გამო განათლების შესახებ? სრულიადაც არა. აბა განზრახ ვინ მოინდომებს თავის თავისთვის ცუდს. ბოროტება მხოლოდ აუცილებელი შედეგია უვიცობისა და გაუნათლებლობისა. ჩვენი გლეხიც, როდესაც ამ უდიდესსა და თავიდგან ვერ მოსაშორებელს საბოროტეს სჩადის, კი არა ჰგონია სამართლისად ჰქცევიო, არამედ თავისა მოქმედება კანონიერად და საზრიანად მიიჩნია.

მიზეზად ამისა ბ-ნს ქიქვაძეს გლეხების უმამულობა, სიღარიბე და დაჩაგრულობა მიაჩნია.

ზოგიერთი აზრი ბ-ნ ქიქვაძისა ჩვენ სამართლიანად არ მიგვაჩნია. არ ვეთანხმებით ჯერ იმას, ვითომ ზემო ქართლში კაციც არ მოიპოვებოდეს სკოლის მსურველი. მართალია, სკოლები არ არის ზოგს დიდს სოფლებშიაცკი, მაგრამ უსურველობის დაწამებაკი მგონი ცილის-წამება უნდა იყოს. არ ვიცი, ბ-ნი ქიქვაძე რომელს სოფლებში ყოფილა, ხოლო მეც, ამ სტრიქონების დამწერს, მრავალი სოფელი შემოუვლია ზემო ქართლისა და იშვიათად ისეთი კაცი-კი არ მინახავს, რომელსაც სკოლა და სწავლა ნდომებოდეს, არამედ ისეთი, რომელსაც ეს არა ნდომებოდეს.

მიზეზიც სკოლების უქონლობისა (და არა უნდომლობისა) მარტო ის-კი არ არის, რასაც ბ-ნი ქიქვაძე ამბობს, ე. ი. სიღარიბე და დაჩაგრულობა, არამედ ის გარემოებაც, რომ სოფლებში გამართულს სკოლებს ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოაქვს. აბა რა გულით უნდა მოეკიდოს გლეხი სკოლის გამართვას, როდესაც ჰხედავს, რომ იქვე მეორე სოფელში სკოლა გამოვლილმა ბავშვებმა არც რიგიანი ქართული იციან, არც რუსული და არც სხვა რაიმე ხელობა, ცხოვრებაში გამოსაყენებელი. სწორედ ამიტომ ამბობენ გლეხები, ბავშვის სკოლაში მიბარება მოცდენაა და სხვა არაფერიო. აბა „ქილ-ბილის“ მაგიერ ან „ქილ-ბილთან“ ერთად გამოსადეგი ხელობაც რამ ასწავლონ სკოლაში, ჰნახავთ, როგორ მიეტანებიან გლეხები.

ამ ჩვენის აზრის დასასაბუთებლად თვით ბ-ნ ქიქვაძეს სიტყვებსავე მოვიყვანთ. „ბევრს სოფელშიო, ამბობს ბ-ნი ქიქვაძე: გლეხებმა მითხრეს, მღვდელმა დაგვიშალა სკოლის გამართვაო“. თუ გლეხებს არც ერთს სოფელში არა ჰსურთ სკოლის გამართვა, მღვდელს რის გამართვაღა უნდა დაეშალა? მაგრამ აკი ზემოდაც მოგახსენეთ, გლეხებს სურთ სწავლა-განათლება და, თუ სკოლას არა ჰმართავენ, ამის მიზეზი მრავალია და უფრო-კი აწინდელ სასოფლო სკოლათა გამონაღები არა სასურველი ნაყოფი.

---

# რუსეთი

„Москов. Вѣд.“-ი, მიხედვით იმ წერილებისა, რომელიც ამ უკანასკნელს დროს დაიბეჭდა ფინლიანდიურს გაზეთებში, ამბობს, რომ ეხლა უფრო გაძლიერდა აზრი და ოცნება ფინლიანდიელთა ცნობილის დასისა იმის შესახებ, რომ თავიანთი ქვეყანა განაცალკევონო... ამ აზრითაო, ამბობს გაზეთი: „პატრიოტებს“ დიდი საიდუმლო აგიტაცია აქვთ გამართული. უპირველეს ყოვლისა ისინი თავიანთს გაზეთებში ქებით იხსენიებენ ღვაწლსა და მოქმედებას ფინლიანდიის უკანასკნელის სეიმისას. ამ მოქმედებას, ანუ წრეს გადასულს კადნიერებას სეიმისას უმაღლეს მთავრობის წინაშე, „ბრწყინვალე სურათებად“, „ბრწყინვალე ხანად“ უხატვენ ხალხს შარშანდელის წლისად. ჩვენ უკვე ვიცით, რაც არის ეს „ბრწყინვალე სურათები“. როდესაც ფინლიანდიის სისხლის სამართლის დებულებაში ცვლილების მოხდენა განიზრახა მთავრობამ, ფინლიანდიის სეიმი თავის პასუხის ქაღალდში სწერდა, უმაღლესი მთავრობა კანონიერად ვერ მოიქცა, რომ სისხლის სამართლის დებულების მოქმედება შეაჩერა და ჯერ ჩვენ, (ესე იგი „საერობო მოხელეებს“) არ დაგვეკითხაო. ამასთანავე სეიმის კამათობის დროს რამდენმამე ორატორმა ქება-დიდებით მოიხსენია საქციელი იმ მოსამართლეებისა, რომელნიც არ დაემორჩილნენ უმაღლესს მანიფესტს ახალის სასისხლის სამართლის დებულების შეყენების შესახებ, მაინც იმ დებულებით ასამართლებდნენ და ასე მართლულობდნენ თავსა: რადგან სეიმმა მოიწონა ეს დებულება, მაშასადამე, ამით უნდა ვიხელმძღვანელოთო. თავისს თხოვნაში საფოსტო მანიფესტის შესახებ სეიმი ჰკიცხავს უმაღლესს მთავრობას და ეძიებს ამ მანიფესტის გაუქმებას“. „Моск. Вѣд.“-ი ამბობს, ამ გვარის აზრებით ყველა ფინლიანდიელნი-კი არ არიან განმსჭვალნულნი, არამედ მხოლოდ ერთი წილი ფინლიანდიელთაო და საბუთად შემდეგი მოჰყავსო.

„ერთი ფინლიანდიური გაზ. სწერს, სეიმი თავისით არა ჰმოქმედებდა, არამედ „იმ დასის ხელმძღვანელობით, რომელსაც კარგადა აქვს შეგნებული ჩვენის დროის ჟამთა სიავეო“, ე. ი. ხელმძღვანელობით სეპარატისტებისა და მათის მეთაურების—მეხელინისა, მონგომერისა, ვეისენბერგისა ირიე-კოსკონენისა და სხვათა, რომელნიც აგრეთვე, როგორც ვიცით, სეიმშივე ბჭობდნენ. ხოლო განზრახვა და წადილი ამ დასისა ის არის, რომ სრულიად განაცალკევონ ფინლიანდია, ცალკე სახელმწიფოდ აქციონ, თავისი დროშა და ჯარი მისცენ და სხვ.“

— პეტერბურგში ახალი ამხანაგობა შესდგა, რომელსაც საგნად აქვს სახლების აშენება. ეს სახლები ელექტრონით იქნება განათებული და გამართული ექნება ტელეფონები, ტელეგრაფის სადგურები, ფოსტის ყუთები, წიგნთ-საწყობები, აბანოები, საერთო სასადილოები და სხვანი. ამას გარდა, სახლებთან ბაღებიც იქნება გაშენებული. ამ ამხანაგობის მიერ აშენებულ სახლების მცხოვრებლები საჭმელ-სასმელსა და სანოვაგეს ერთად იყიდიან ხოლმე და ძლიერ იაფადაც დაუჯდებათ. ამ პროექტის ასრულებისათვის თავდაპირველად 2 მილიონ მანათზედ მეტია თურმე საჭირო.

— ოდესიდგან იწერებიან, რომ 24 თებერვალს იქ პირველი დებიუტი ყოფილა კოკლენისა. საზოგადოება დიდის აღტაცებით მიჰგებებია კოკლენს. კოკლენის დასი ჩინებულია თურმე. დეკორაციები და ტანთ-საცმელი მშვენიერი ჰქონია. კოკლენ-ს ყველა წარმოდგენაზედ ბილეთები სულ გაყიდულა.

---

## გერმანიის იმპერატორის მიერ წარმოთქმულ სიტყვის გამო

„National Zeitung“-ი ამბობს:

„ჩვენის იმპერატორის სიტყვის გამო ბევრსა ლაპარაკობენ უცხო ქვეყნების გაზეთები. ჩვენ არ გავიმეორებთ მათს ნალაპარაკევს იმდენადაცკი, რამდენადაც შესაძლებელია ჩვენის სამწერლობო კანონების ძალით. იმასკი უთუოდ ვიტყვით, რომ კანცლერმა და პრუსიის სხვა მინისტრებმა კარგად დაუგდონ ყური, რასაც ამბობენ ამ სიტყვის გამო უცხოეთში. ეჭვიარ არის, მაშინ იგრძნობენ, რომ მოვალენი არიან, ყოველივე აუწყონ იმპერატორს“.

„Frankfurter Zeitung“-ი ამბობს:

„ჩვენ შესახებ ლაპარაკობენ უცხოეთში, რომ ბერლინის უწესოებამ დაამტკიცა, რა ძნელია, და თითქმის შეუძლებელიც, ყოველივე კარგად წარიმართებოდეს ერთის კაცის მონდომებითა და სურვილით, რაც უნდა ძლიერი იყოს ის ერთი კაციო. ბრძანება და „კომანდა“ არ გამოდგება საეკონომიო და საგონებრივო ცხოვრებაში. „ახალმა კურსმა“ ვერ აგვაცილა თავიდამ ბევრ გვარი გაჭირვება და დაბრკოლება-ხარიხა. ახლა კიდევ ათასს გვარს საშიშროებას გვიქადის ახალი სასკოლო კანონ-პროექტი. ორმოც-დაათ მილიონ ხალხს კაცი წინ ვერ გაირეკავს ცხვრებსავით. გერმანიის ერს, რომელსაც ესოდენი ძალა აქვს სულისა და სიმტკიცე-მხნეობისა, ვერავინ წაართმევს ვერც თვით-ცნობიერებას და ვერც გადააჩვევს ფიქრს, რომ თითონ უნდა იყოს პასუხისმგებელი თავის ბედისა და უბედობისა“...

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ უფრო სასკოლო კანონ-პროექტმა ასტეხა ეს დავი-დარაბაო, მაგრამ ის ერი, რომელმაც ასის წლის განმავლობაში აღზარდა კანტი და ლესსინგი, გიოტე და შილლერი, ჰერდერი და ჰუმბოლტი, არ გასწირავს თავისს სკოლას და არ ჩაუგდებს ხელში სიბნელის მოყვარულთაო.

„Vossische Zeitung“-ი ამბობს:

„ორის დღის განმავლობაში სამი გაზეთი მისცეს სამართალში და ბრალი დასდეს, რომ შეურაცხ ჰყავით მისი უდიდებულესობაო. რას იფიქრებენ ამას შემდეგ უცხოეთში გერმანიის მწერლობის თავისუფლების შესახებ? ამ ერთის წლის წინად ასეთივე ბრალი დაედო გაზეთს „Kreuz zeitung“-ს, რომელმაც დაჰბეჭდა წერილი მონარქიულ გრძნობის გამო, მაგრამ ეს საქმე მალევე მოსპობილ იქმნა. წელს რაღა იქნება, შემდეგი გვეტყვის ამის პასუხს. ეს კია, რომ ასეთის დავის ატეხა კარგს გუნებაზე ვერ დააყენებს საზოგადოებას. დიდად სამწუხარო იქნება, უკეთუ გავრცელდება აზრი, რომ გერმანიაში არ შეიძლება თავისუფლად გამოსთქვას კაცმა თავისი აზრებიო. მკითხველები მიეჩვევიან მაშინ ამ აზრების ამოკითხვას თვით სტრიქონთა შორის, ესე იგი იქ, სადაც არა ეწერება-რა“.

შემდეგ გაზეთი ამტკიცებს, რომ ამ საგნის შესახებ კანონ-მდებლობა უნდა შეიცვალოს და თვით მონარქს უნდა ეკითხებოდეს, დაწყებულ იქმნას დავა გაზეთის წინააღმდეგ, თუ არაო.

„რომის იმპერატორმა თეოდოსე დიდმა, განაგრძნობს გაზეთი: დაადგინა: შეურაცხება უდიდებულესობისა საზოგადოდ არ უნდა იდევნებოდეს სასამართლოს მიერ და მაინცა და მაინც ყოველ შემთხვევაში დავა არ უნდა იქმნას დაწყებული მანამდე, ვიდრე იმპერატორს არ მოხსენდება საქმის გარემოება, რათა მან პირადად მიიღოს მხედველობაში ყოველივე წვლილი, ასწონ-დასწონოს საქმე და გადასწყვიტოს, გაჩუმება ემჯობინება, თუ დანიშვნა საქმის გამოძიებისა. გერმანიის სახელმწიფოებშიაც აგრე იყო წინად. თუ თაოსნობა არა, ნებართვა მაინც უნდა ეკითხებოდეს ხელმწიფეს ასეთის საქმის დაწყებისათვის. შესაძლოა, დავის ატეხა ბერჯელ საჭიროდ არ დაინახოს გვირგვინოსანმა. რამდენჯერ მომხდარა, რომ სასჯელი გადუწყვეტიათ და მონარქს შეუწყალებია დამნაშავე. ფრიდრიხ დიდი, რომლის აზრები მოჰყავდა ჩვენს იმპერატორს, სწერდა ვოლტერს 2 მარტს 1772 წელს: „სატირასა და დაცინვით დაწერილს ისევე ვუცქერი, როგორც ეპიქტეტი უცქეროდა: თუ ცუდს ამბობენ რასმე შენსას, და სამართლიანად ამბობენ, გასწორდი; ხოლო, თუ რასაც ცუდს ამბობენ, ტყუილია, შენ თითონ დასცინე ამ ტყუილსაო. გამოცდილებამ გადამაქცია კარგ ფოსტის ცხენად, რომელიც თოხარიკით მიდის თავისს გზაზე და ყურს არ უგდებს გზა-გზა ძაღლების ყეფასაო“. დიდებულს მონარქს, რომელიც დარწმუნებულია, რომ მართალს გზას ადგა, შეუძლიან ასე ილაპარაკოს. იმას შიში არა აქვს, რომ სახელმწიფოს ზიანი მიეცემა, თუ არ დასაჯა პასკვილის დამწერი და ბრძანა, რომ გაზეთებს დაბრკოლება არა ეძლეოდეთ-რაო. თვით მთავრობას არ შეუძლიან არ ინდომოს, რომ მწერლობა თავისუფლად მრჯელი იყოს. გრაფი ჰერტცბერგი, ფრიდრიხ დიდის მინისტრი, სწერდა ერთხელ: „თავისუფლება მწერლობისა საშიშია მხოლოდ იმ მთავრობისათვის, რომელსაც უყვარს ბნელი და საიდუმლო გზა-ბილიკები“. კრომველმა სთქვა: „თუ ჩემი მმართველობა ისეა მოწყობილი, რომ შეუძლიან არსებობა, ქაღალდით გატენილ თოფების სროლისა არ უნდა ეფიქრებოდესო“. იმპერატორი იოსებ II სწერდა: „ის, ვინც ან მე მკიცხავს, ან ჩემს მოქმედებას, გულ-კეთილს სურვილს იჩენს და უნდა მასწავლოს რამე, ჩამაგონოს და გამასწოროს. თუ ამავე დროს დაავიწყდა სავალდებულო თავაზიანობა, შემიძლიან ვაპატიო იმ კეთილის სურვილისათვის, რომელიც გულში ჰქონდა“. სასურველია, რომ რეიხსტაგში მოითხოვდნენ კანონის შეცვლას ისე, რომ გვირგვინოსანს შეეძლოს ასეთისავე აზრების წარმოთქმა და რომ მეორეს მხრით პროკურატურას არ ედოს მოვალეობად დაიწყოს დავა ყოველ იმ შემთხვევაში, როცა შეამჩნევს, რომ ამა-და-ამ წერილით შეურაცხყოფილია უდიდებულესობაო. ასე შეცვლა კანონისა დიდად სასარგებლო იქნება სამშობლოსათვისაცა და თვით სამეფო გვარეულობისათვისაც, იმიტომ რომ სამეფო ტახტისათვის იმაზე მავნებელი არა იქმნება-რა, როგორც იძულებით გაჩუმება ერისა, როცა ყველას სათქმელი ბევრი აქვს, მაგრამ პირი-კი წყლით ავსებია“.

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის ჟურნალი „Archive de L'antropologie criminell“-ში დაბეჭდილია შემდეგი მოთხრობა გვიანაში დიდხანს ნაცხოვრის საფრანგეთის ინჟინერ-ტეხნოლოგისა. ეს კაცი მოგვითხრობს, რომ ჩემის თანდასწრებით აუცრეს ერთს შხამიანის გველის ნაკბენისაგან უზრუნველ-საყოფელადაო. „მოხუცმა, ჭაღარა-შერთულმა ინდოელმა მეც ამიცრაო, სწერს ფრანგი: შუშიდგან კბილი ამოიღო ერთის მეტად შხამიანის გველისა და იმით ფეხის კოჭებზედ სამჯერ დამსერა. ერთის წუთის განმავლობაში სისხლი მდიოდა. ძალიან დავსუსტდი და ოფლმა დამასხა. ერთმა წუთმა რომ გაიარა, რომლის განმავლობაშიაც სისხლი უწყვეტლად მდიოდა, ინდოელმა რაღაც ფხვნილი ამოიღო და დასერილი ალაგი იმითი დამიზილა. ეს ფხვნილი გაკეთებული იყო შხამიანის გველის ღვიძლისაგან. ბოლოს ნაჭრილობევზედ თავისი ფურთხი წამისვა, შემმრალების დრო მისცა, შემიხვია და გამომიცხადა, რომ აცრილი ხარ და შხამიანის გველის კბენისა ნუღარა გეფიქრება-რა, ამ მხრივ მთელს შენს სიცოცხლეში უზრუნველყოფილი ხარო. მას შემდეგ ბევრს გველს ვუკბენივარ და ერთხელ საშინლად შხამიანმა გველმაც დამკბინა, მაგრამ, არამც თუ აჯად არ გამხდარვარ, ციებაც-კი არ მიგრძვნია. გვიანას მკვიდრნი მცხოვრებნი დიდი ხანია ჰხმარობენ ამ საშუალებას აცრისასა და დაბეჯითებით ამბობენ, რომ არამც თუ უზრუნველს გველის კბენისაგან იმასა ჰყოფს, ვისაც აცრილი აქვს, არამედ რამდენსამე თაობასაც-კი ჰშველის ეს აცრა და აცრილის შვილებსა და შვილიშვილებსაც ფიქრი არა აქვთ გველის კბენისაო“.

## ბიბლიოგრაფია

დარიგება შესახებ ამერიკის ბამბის თესვამოვლისა ქუთაისის გუბერნიაში. ტფილისი, 1892 წ.

ზოგიერთი ჩითეულობის მექარხნეები სცდილობენ ყოველის გზით გაავრცელონ იმერეთში ბამბის თესვა. ლოძის ი. კ. პოზნანსკის ფირმას მათ შორის უპირველესი ადგილი უჭირავს. როგორც თავისს დროზედ ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, ფირმა ავრცელებს ამერიკულის საუკეთესო ბამბის თესლეულს. ამ წიგნაკში ბ-ნი ნ. პ. ტარატინოვის ბროშურიდგან არის ამოკრეფილი შემოკლებით დარიგებანი. ბოლოს ავტორი აცხადებს გლეხ-კაცთა საცნობლად, რომ ბამბის გარჩევას უსასყიდლოდ კისრულობს პოზნანსკის ფირმაო. ეს წიგნაკი გლეხთა შორის უფასოდ გასავრცელებლად არის დაბეჭდილი, როგორც შემოკლებული სახელმძღვანელო, მშვენივრად არის შედგენილი და ამიტომ ვისურვებთ იმის გავრცელებას.

ნიკ. კავკასიძე

## წერილები რედაქციის მიმართ

გიგზავნით მერვში გადმოხვეწილ ქართველთა შორის შეკრებილს ფულს 8 მ. და 20 კ. ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ. აი სია შემომწირველთა.

ილია ი. ოღიაშვილმა 2 მ., აბრამა კნაწაშვილმა 1 მ., მღვდ. დიმიტრი ნოზაძემ 1 მ., ალექსი ზერეკიძემ 1 მ., დიმიტრი ბ. პატარიამ 1 მ., ბეჟან ზერეკიძემ 50 კ., იაკობ დანელიამ 1 მანათი, ს. ბერძნიშვილმა 1 მ. სულ 8 მანეთი და ათი შაური. აქედგან დაიხარჯა ფოსტაში 30 კ. დარჩა 8 მ. და 20 კაპ.

ს. ბერძნიშვილი

## დეპეშა

4 მარტი

**პარიჟი.** დღეს დილით აპირობდნენ ყველა აქაურ ცნობილ ანარხისტთა გაგზავნას. გადაწყვეტილი ჰქონდათ დაეჭირათ ყველანი, ვისაც ან თოფი აღმოაჩნდებოდა, ან ასაფეთქებელი წამალი, ან ხალხის ასაშფოთებელი ქაღალდები. განკარგულება მოახდინეს, რომ ოც-და-ათი სახლი გაეჩხრიკათ, მომეტებულად უფრო უცხოელ რევოლიუციონერებისა. ღონეა ნაღონები ძეგლების დასაცავად და აგრეთვე სამხედრო დარაჯიც გააძლიერეს.

**ლონდონი.** დღეს მოხდა მუშათა კავშირი განსახილველად მუშაობის დაწყების საქმისა ქვის ნახშირის მადნებში. კრება მოახდინეს კარ-ჩაკეტილს დარბაზში, მაგრამ ხმა მაინც გავრცელდა, რომ მუშაობას მომავალს ორშაბათს დაიწყებენო. ქვის ნახშირის ფასმა 4 შილინგით დაიწია ტონნზე.

5 მარტი

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრმა საჭიროდ სცნა, რომ საიურიდიო კომისიამ პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტთან შემოდგომაზედაც იმუშაოს 20 აგვისტოდგან 1 ოქტომბრამდე. ვისაც სრულიად არ დაუჭერია ეგზამენი, ან რომელნიც ვალდებულნი არიან ახალი ეგზამენები დაიჭირონ, ნება ეძლევათ ეგზამენების დაჭერისა ერთ-ერთს ხსენებულს უნივერსიტეტში, ხოლო ვინც ვერ გამოცხადდება და დასამთავრებელს ეგზამენს არ დაიჭერს, ნება აქვს კომისიაში დაიჭიროს კურსის გასათავებელ საგნებისა.

29 თებერვლიდგან 3 მარტამდე განსაკუთრებულს კომიტეტს შეწირულება მიუვიდა 11,700 მან.

**ლიბავა.** მისაგებლად ამერიკულის გემის „ინდიანასი“, რომელმაც დამშეულ რუსთათვის პური მოიტანა, გაიდნენ გემები: "Стражъ" და ორიც კერძო გემი, რომელზედაც ხალხი იყო. ამერიკელებს დიდის ალტაცებით მიეგებნენ, შედლული გაუმართეს. ზღვაოსნები გამწკრივებულნი იყვნენ. დიდის ამბით მიეგება ამერიკელებს წარჩინებულიცა და მდაბიო ხალხიც. ხმელეთზე გამოსვლის დროს დიდი, „ურა“! დასძახეს.

**პარიჟი.** დღეს სახლები გაუჩხრიკეს 35 ანარხისტს. ხუთი მათგანი დააპატიმრეს. ქაღალდები ბევრი აღმოაჩინეს. ორს ანარხისტს უპოვეს ასაფეთქებელი წამალი და სხვა იარაღები, მაგრამ დინამიტი არავის აღმოაჩნდა. ამბობენ, პოლიციას იმედი აქვს და მალე დაიჭერს ლიბაუს ყაზარმების აფეთქების მომხდენთ.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 97 | 8 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 159 1/4 | 160 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1, 16 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა . . . . . | 218 | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — ,, | 200 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი

ამით ვაუქმებ რწმუნების ქაღალდს, რომელიც მივეცი ჩემს შვილს ტიგრან მიხეილის ძეს ვართანოვს მისაღებად და გარდასახდევინებლად ფულებისა ჩემის მოვალეებისაგან და საწარმოებლად სასამართლოებში საქმეებისა და რომელიც დამტკიცებულია ტფილისის ნოტარიუსის პოლტორაცკის მოადგილის აგარანოვის მიერ 1891 წელს, რეესტრით № 2652. ვაუქმებ ამასთანავე ხსენებულ ჩემის შვილის მიერ იმ ქაღალდის ძალით მარკოზ ივანეს ძის კაშელავასთვის მიცემულს რწმუნების ქაღალდებსაც ზუგდიდის ნოტარიუსის ს. ნ. ჯიქიას მიერ დამტკიცებულს 10, 16 და 17-ს მაისსა და 17 აგვისტოს 1891 წლისას, რეესტრით № 399, 400, 401, 402, 417, 418, 419, 420, 435, 1069 და 1070.

ტფილისის მეორე გილდის ვაჭარი მიხეილ გრიგოლის ძე ვართანოვი.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

(მესამე წელიწადი)

გამოვა 1892 წელსაც, ორთთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წერეთლისა.

დაიბეჭდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის და წერა-კითხვის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე „ამხანაგობის“ ყველა აგენტებთან ახალი ქართული წიგნი

კანდიდ

მოთხრობა

ვოლტერისა

ფრანცულით ნათარგმნი

თ. სახოკიას მიერ

ფასი ექვსი შაური

იქვე ისყიდება თ. სახოკიას მიერვე ნათარგმნი

„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“

ვ. ჰიუგოსი

ფასი ექვსი შაური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.